

ოქმი N10-11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2019 წელი, 7 ივნისი

ქ. ოზურგეთი

15⁰⁰ -საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები გ.ჩავლეშვილი, ვლ.ჩავლეშვილი, ბ.დოლიძე, ტ.აროშიძე, ვლ.დლონტი, თ.ბურჭულაძე, თ.ტულუში, დ.ჭაკნელიძე, ვ.ჩხაიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, მ.ჩხიკვიშვილი, ჯ.თავართქილაძე, დ.მჟავანაძე, ხ.ცერცვაძე.

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების სამსახურის უფროსი თ.გიორგაძე სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და სანიაღვრე არხების, წყალშემკრები და წყალგამტარი არხების მოწყობის თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა

თანამომხს: თ.გიორგაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დოლიძისა და მალაზონიას ქუჩების მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოდ. დვაბზუს მცხოვრებთა პეტიციაზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ.

მომხს: ლ. ბიგვავა

5. კომისიაში შემოსული კორექსიონის შესახებ.

მომხს: გ. კილაძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გ. კილაძე

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გ. კილაძე

8. ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მომართვის შესახებ.

მომხს: გ. კილაძე

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის იანვარ-აპრილის გეგმის შესრულების ანგარიში თვეების მიხედვით ნაზარდი ჯამით.

მომხს: ლ. ბიგვავა

გ. კილაძე

მომხსენებელმა კომისიათა წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთში სანიაღვრე არხების მოწყობის მდგომარეობის შესახებ, ვრცლად კი საკითხზე ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსმა თ. გიორგაძემ. აღინიშნა, რომ ქალაქად სანიაღვრე არხები ძირითადად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია სპეციალური ცხურები, მაგრამ არსებობს ქუჩები, სადაც მოსაწყობია ისინი. განსაკუთრებით პრობლემატურია დაბა ურეკის ქუჩები და ტერიტორია, რასაც ძირითადად განაპირობებს ქოტური მშენებლობები, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა წერეთლის ქუჩაზე, რომლის გადასაჭრელად მუნიციპალიტეტის მერია სერიოზულ სამუშაოების ჩატარებას აპირებს. გასაწმენდია არხები გზების გასწვრივ სოფლებშიც. მომზადებულია პროექტები ქ. ოზურგეთში გურიის, ნინოშვილის, ლესელიძის, დუმბაძის ქუჩებზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის შესახებ. კომისიის წევრმა თ. ტულუშმა დააყენა საკითხი ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში კერძოდ, ახალშენის უბანში სანიაღვრე არხების გაწმენდის აუცილებლობაზე. ლ. ბიგვავამ აღნიშნა ქ. ოზურგეთში შემოქმედელის ქუჩაზე არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ. კომისიის წევრმა ვლ. ჩავლეშვილმა ხაზი გაუსვა მთისპირი-ვაკიჯვრის შემაერთებელი გზის გასწვრივ არხების მოწყობაზე, თ. გიორგაძემ დასმულ საკითხზე გააკეთა განმარტებები. კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია.

კომისიათა წევრებმა მოისმინეს გ. დოლიძის ქუჩის მცხოვრებთა წერილის თაობაზე, ისინი ითხოვენ ქუჩის მოასფალტებას, მერიის პასუხი ამ საკითხთან

დაკავშირებით მომხსენებლის აზრით არ არის სწორი. ლ.მალაზონის ქუჩის მცხოვრებლები ითხოვენ ჩამოყრილი თუნუქის შეკეთებას, კომისიათა წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ამ საკითხებზე მომზადებული დასკვნები გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

ლ.ბიგვაკამ კომისიათა წევრებს გააცნო სოფელ დვაბზუს ცენტრში პარკის მოწყობის თაობაზე ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგებზე მერიიდან შემოსული პასუხი, რომელშიც კონკრეტულად პეტიციაში აღნიშნულ საკითხზე არ არის პასუხი გაცემული. პასუხში არ არის დაფიქსირებული, აღმასრულებელი ხელისუფლება უჭერს თუ არ უჭერს მხარს საერთოდ აღნიშნულ საკითხს.

კომისიათა წევრებმა ასევე განიხილეს დაბა ურეკის უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი, მომზადდება დასკვნა და გადაეგზავნება სამთავრობო კომისიას.

გ.კილაძემ კომისიათა წევრებს გააცნო წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილი აჭის ხეობაში ქვისა-ხრემის მოპოვების აკრძალვის თაობაზე მოსახლეობის მოთხოვნის პასუხად, რომელიც მიიღეს ცნობად.

კომისიათა წევრებმა განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას. ასევე იმსჯელეს საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ და შესაძლებლად მიიჩნიეს მისი საკრებულოსათვის წარდგენა.

გ.კილაძემ კომისიათა წევრებს გააცნო ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მომართვის შესახებ, რომელშიც ისინი ითხოვენ მუნიციპალიტეტში ქვიშა-ხრემის მოპოვებაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესწავლის მიზნით საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას. ლ.ბიგვაკამ კომისიათა წევრებს გააცნო საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული სამუშაო ჯგუფის შექმნა, მომართვაში დასმული საკითხების შესწავლა და არა უგვიანეს ერთ თვეში საკრებულოში რეაგირებისათვის წარმოდგენა დაევალა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიებს.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

- 1.დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნა(თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N6, 7 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.
2. კომისიაში შემოსული კოლექტიური წერილები რეაგირების მიზნით, ამ ოქმთან ერთად გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).
3. დაბა ურეკში უსახელო ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ მომზადდეს დასკვნა და გადაეგზავნოს შესაბამის სამთავრობო კომისიას.

4. სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს წერილი აჭის ხეობა კარიერების დახურვის საპასუხოდ; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული და სანიაღვრე არხების, წყალშემკრები და წყალშემკრები არხები მოწყობის თაობაზე“-მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის თ.გიორგაძის ინფორმაცია; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის იანვარ-აპრილის გეგმის შესრულების ანგარიში თვეების მიხედვით ნაზარდი ჯამით; ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ საკრებულოსათვის მომართვა მიღებულ იქნას ცნობად.

ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია